სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება №01-05-04/133

ქ. თბილისი 12 ივნისი 2019

ზოგიერთი ფაკულტეტისათვის წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) სტუდენტების წარმომადგენლობის კვოტის გაზრდის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №215 ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლისა და მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით, „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტები) არჩევნების ჩატარების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 12 ივნისის №01-05-02/12 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. წარმომადგენლობით საბჭოში (სენატი) განისაზღვროს სტუდენტებისათვის დამატებითი ვაკანტური ადგილები ფაკულტეტების მიხედვით:

ა) სამშენებლო ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი (სტუდენტებისთვის სულ 4 ადგილი);

ბ) ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი (სტუდენტებისთვის სულ 4 ადგილი);

გ) სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი (სტუდენტებისთვის სულ 3 ადგილი);

დ) ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი – 3 ვაკანტური ადგილი (სტუდენტებისთვის სულ 5 ადგილი);

ე) აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი (სტუდენტებისთვის სულ 3 ადგილი);

ვ) ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტი – 1 ვაკანტური ადგილი (სტუდენტებისთვის სულ 3 ადგილი);

ზ) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი – 2 ვაკანტური ადგილი (სტუდენტებისთვის სულ 3 ადგილი);

2. წარედგინოს რექტორს წინადადება სენატის დამატებულ ვაკანტურ ადგილებზე სენატის დარჩენილი უფლებამოსილების ვადით არჩევნების გამოცხადების თაობაზე;
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 (ერთი) თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**